თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აღწერილობა

თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 6 აკადემიური და 28 მოწვეული პედაგოგით. კრედიტების რაოდენობაა 270. საშუალოდ, თითო სემესტრში - 30 კრედიტი. თითო აკადემიური წელი მოიცავს 60-75 კრედიტის...დაძლევას. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: მოძღვრის რეკომენდაცია; საშუალო განათლების დამადასტურებელი ატესტატი; ერთიან ეროვნულ გამოცდაზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა. შიდა გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში: ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები (ზეპირი); საქართველოს ისტორია (ზეპირი); უცხო ენა (ტესტირება - ინგლისური ენა (A2), რუსული ენა (A2), გერმანული ენა (A2), ფრანგული ენა (A2) ან ახალი ბერძნული ენა (A2). შიდა გამოცდების ქვედა ზღვარია 51 ქულა, ზედა ზღვარი - 100 ქულა. მისაღები სტუდენტების რაოდენობაა არაუმეტეს...40-ისა. სასწავლო კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია სალექციო და სასემინარო საათები, რომელიც მოიცავს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებსა და აქტივობებს: წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის მეთოდს; დისკუსია/დებატებს; 2 სემესტრული სემინარების/კოლოკვიუმების მომზადება-ჩაბარებას; ახსნა–განმარტებით მეთოდს; პრეზენტაციის მომზადებას, სემესტრულ/დასკვნით გამოცდებს. სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც აერთიანებს შუალედურ შეფასებას, კოლოკვიუმისა და სემინარის ქულებს, ლექციებზე დასწრებისა და დასკვნითი შეფასების საერთო ჯამს (გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტმა უნდა მოიპოვოს არანაკლებ 11 ქულისა). სასწავლო კურსი გულისხმობს პრაქტიკულ სამუშაოებს...მუზეუმებსა...და...ეკლესია-მონასტრებში.

I კურსი მოიცავს 60 კრედიტს. ძირითადად დატვირთვა აქვს ჰუმანიტარულ საგნებს, რათა სტუდენტმა შეძლოს ზეპირმეტყველების და წერის კულტურის დახვეწა, სტუდენტს გამოუმუშავდეს წერითი ჩვევები, შეიძინოს საბაზისო თეორიული ცოდნა, შეისწავლოს მშობლიური ქვეყნის ისტორია, უცხო ენა და ასევე გამოიმუშავოს წმ. წერილის ტექსტობრივი...დამუშავების...უნარი.

II კურსი მოიცავს 70 კრედიტს. სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა წმინდა წერილის ტექსტის შესწავლასთან ერთად გაეცნოს ბიბლიური ტექსტების წმინდა მამათა განმარტებებს. საეკლესიო ტიპიკონის შესწავლით სტუდენტი შეძლებს ღვთისმსახურებაში...მონაწილეობის...მიღებას...(მედავითნე).

III კურსი მოიცავს 75 კრედიტს. სტუდენტს ეძლევა საბაზო განათლება საღვთისმეტყველო დისციპლინებში. საეკლესიო სამართლის, ეკლესიის ისტორიის, დოგმატური ღვთისმეტყველების სასწავლო კურსების მიზანია სტუდენტმა მიიღოს ინფორმაცია საეკლესიო სამართლის მეცნიერების შესახებ, გაეცნოს მართლმადიდებელი ეკლესიის კანონმდებლობას; ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის მოვლენებს, პიროვნებებსა და პრობლემებს და საფუძვლიანად შეისწავლოს...მართლმადიდებლური...ეკლესიის...დოგმატები.

IV კურსი მოიცავს 65 კრედიტს. ფილოსოფიის ისტორია სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს საბაზისო ცოდნა ფილოსოფიის თანამედროვე მიმდინარეობებსა და საკვანძო საკითხებზე; ძველი ბერძნულის საწყისი კურსით სტუდენტი სწავლობს ელემენტარული გრამატიკის საფუძვლებს, ასკეტიკის კურსით სტუდენტი იღებს სამეცნიერო ცოდნას პრაქტიკული ასკეტური ცხოვრებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებთან დაკავშირებით. თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს აქვს უფლება: რეკომენდაციის შემთხვევაში სასულიერო პირად კურთხევისა; საღვთისმეტყველო პროფილით პედაგოგად მუშაობისა; საგანმანათლებლო 3 საქმიანობისა, რომელიც ემსახურება

მართლმადიდებლური რწმენისა და ღირებულებების დამკვიდრებასა და განმტკიცებას. კურსდამთავრებულს გამომუშავებული აქვს უნარები: ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებისა, კომუნიკაციისა (ქართულსა და რომელიმე უცხო ენაზე), დარგობრივი ლიტერატურის წაკითხვა-გააზრებისა, ნაშრომის/ტექსტის გაფორმებისა (კონკრეტული ამოცანების დასახვა და დაგეგმილ დროში შესრულება, სხვათა ნაშრომების ციტირება რეფერირების წესების დაცვით და ა. შ.), შუძლია გააგრძელოს სწავლა მომდევნო სასწავლო საფეხურზე ან განაგრძოს დამოუკიდებელი პრაქტიკული მუშაობა. პროგრამა სტუდენტებს აძლევს ცოდნას თეოლოგიაში, უყალიბებს და უვითარებს მეთოდოლოგიურ უნარ-ჩვევებს.

თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა							
2020 -2024 წლის თეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა							
სასწავლო გეგმა							
I სემესტრი				**II სემესტრი**			
საგნები		**კრდტ.**	**სთ.**	**საგნები**		**კრდტ.**	**სთ.**
1	ახალი აღთქმა	5	3	1	ახალი აღთქმა	5	3
2	ძველი ქართული ენა	5	3	2	ძველი ქართული ენა	5	3
3	საქართველოს ისტორია	5	3	3	საქართველოს ისტორია	5	3
4	უცხო ენა	5	3	4	უცხო ენა	5	3
5	ძველი ქართული სასულიერო მწერლობა	5	3	5	ძველი ქართული სასულიერო მწერლობა	5	3
6	ძველი აღთქმა	5	3	6	ძველი აღთქმა	5	3
7	კატეხიზმო	არასაკრედიტო	1	7	გალობის ისტორია (კრედიტგარეშე)	არასაკრედიტო	1
8			1	8	კატეხიზმო	არასაკრედიტო	1
ჯამი:		**30**	20	**ჯამი:**		**30**	**20**
III სემესტრი				**IV სემესტრი**			
საგნები		**კრდტ.**	**სთ.**	**საგნები**		**კრდტ.**	**სთ.**
1	ახალი აღთქმა	5	3	1	ახალი აღთქმა	5	3
2	ძველი აღთქმა	5	3	2	ძველი აღთქმა	5	3
3	ლიტურგიკა	5	3	3	ლიტურგიკა	5	3
4	საქართველოს ეკლესიის ისტორია	5	3	4	საქართველოს ეკლესიის ისტორია	5	3
5	უცხო ენა	5	3	5	უცხო ენა	5	3
6	ძველი ქართული ენა	5	3	6	პატროლოგია	5	3
7	მსოფლიო ლიტერატურის ისტორია (კრედიტგარეშე)		2	7	ძველი ქართული ენა	**5**	**3**
8	გალობის ისტორია	არასაკრედიტო	1	8	ჰომილეტიკა	5	3
				9	რელიგიების ისტორია	არასაკრედიტო	
	ჯამი:	30	**21**		**ჯამი:**	**40**	**24**

V სემესტრი				VI სემესტრი			
საგნები		**კრდტ.**	**სთ.**	**საგნები**		**კრდტ.**	**სთ.**
1	ახალი აღთქმა	5	3	1	ახალი აღთქმა	5	3
2	ძველი აღთქმა	5	3	2	ძველი აღთქმა	5	3
3	ლიტურგიკა	5	3	3	ლიტურგიკა	5	3
4	ეკლესიის ისტორია	5	2	4	ეკლესიის ისტორია	5	3
5	საეკლესიო სამართალი	5	2	5	საეკლესიო სამართალი	5	3
6	დოგმატური ღვთისმეტყველება	5	3	6	დოგმატური ღვთისმეტყველება	5	3
7	პატროლოგია	5	3	7	ახალი ქართული ენა - აკადემიური წერა	5	3
8	ახალი ქართული ენა -აკადემიური წერა	5	3	8	ქრისტიანული ხელოვნების ისტ.	არასაკრედიტო	2
			2		გალობის ისტორია	არასაკრედიტო	
	ჯამი:	**40**	**23**		**ჯამი:**	**35**	**23**

VII სემესტრი				VIII სემესტრი			
საგნები		**კრდტ.**	**სთ.**	**საგნები**		**კრდტ.**	**სთ.**
1	ახალი აღთქმა	5	3	1	საბაკალავრო ნაშრომი	10	3
2	ეკლესიის ისტორია	5	3	2	ლიტურგიკა	5	3
3	ლიტურგიკა	5	3	3	ძველი ბერძნული ენა	5	2
4	ასკეტიკა	5	3	4	ბიზანტიოლოგია	5	3
	ძველი ბერძნული ენა	5	2		ახალი აღთქმა	5	3
5	ფილოსოფიის ისტორია	5	3	5			
6	ძველი აღთქმა	5	3	6			
7			3				
ჯამი:		35	22		**ჯამი:**	30	14